ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამო"-ს სტადიონი
Тбилисский стадион „ДИНАМО" имени Л. П. Берия

8 აგვისტო 1950 წელი
8 АВГУСТА 1950 ГОДА

# ფეხბურთი
# ФУТБОЛ



სსრკ 1950 წლის პირველობა
ПЕРВЕНСТВО СССР 1950 ГОДА

„სპარტაკი" თბილისი — „სპარტაკი" მოსკოვი

„СПАРТАК" Тбилиси — „СПАРТАК" Москва

მატჩის დასაწყისი 18 საათზე
Начало матча в 18 часов

footballprogs.net
footballprogs.net

# „სპარტაკი", თბილისი
# „СПАРТАК", Тбилиси

გუნდის მწვრთნელი--სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჟორდანია.
Тренер команды--заслуженный мастер спорта А. ЖОРДАНИЯ.

გუნდის კაპიტანი--ვ. ლომაია.
Капитан команды—В. ЛОМАЯ.

1
ვ. ჟელეზკოვი
В. Железков

2
თ. გუგუნავა
Т. Гугунава

3
ი. შუდრა
И. Шудра

4
ი. კატანოვი
Ю. Катанов

5
ა. კილაძე
А. Киладзе

6
ნ. გაგნიძე
Н. Гагнидзе

7
ა. პაიჭაძე
А. Пайчадзе

8
კ. გაგნიძე
К. Гагнидзе

9
გ. აროშიძე
Г. Арошидзе

10
მ. გამყრელიძე
М. Гамкрелидзе

11
ვ. ლომაია
В. Ломая

———⊙———

ა. რისცოვი
А. Рысцов
11

ნ. დემენტიევი
Н. Дементьев
10

ნ. სიმონიანი
Н. Симонян
9

ვ. ტერენტიევი
В. Терентьев
8

ა. პარამონოვი
А. Парамонов
7

ი. ნეტო
И. Нетто
6

ო. ტიმაკოვი
О. Тимаков
5

ი. სედოვი
Ю. Седов
4

ვ. სოკოლოვი
В. Соколов
3

კ. მალინინი
К. Малинин
2

ვ. ჩერნიშევი
В. Чернышев — Костиков.
1

გუნდის კაპიტანი—სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სოკოლოვი.
Капитан команды—заслуженный мастер спорта В. СОКОЛОВ.

გუნდის მწვრთნელი—სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. დანგულოვი.
Тренер команды—заслуженный мастер спорта А. ДАНГУЛОВ.

# „სპარტაკი" მოსკოვი
# „СПАРТАК" Москва

---

მატჩს სჯის საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. დემჩენკო (ჟიტომირი).
Судит матч судья всесоюзной категории К. ДЕМЧЕНКО (Житомир).

---

გუნდების შემადგენლობაში მოსალოდნელი ცვლილებები მოისმინეთ რადიოთი.
О возможных изменениях в составах команд слушайте по радио.

footballprogs.net

სსრკ 1950 წლის პირველობის გათამაშების ცხრილი ფეხბურთში („ა" კლასი)

# ТАБЛИЦА РОЗЫГРЫША ПЕРВЕНСТВА СССР ПО ФУТБОЛУ 1950 ГОДА (класс „А")

| № пп | გუნდები Команды | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | თამაში игр | მოგება победы | ფრე ничьи | წაგება пораж. | ბურთ. мячи | ქულები Очки | ადგილი место |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „დინამო" მ.<br>„Динамо" М. | | 0:2 | 1:1 | 0:1<br>6:2 | 3:4 | 3:1<br>5:4 | 3:1<br>2:0 | 2:1 | 0:2<br>0:2 | 4:0 | 1:1 | 2:0 | 5:0 | 0:0<br>6:0 | 3:0 | 1:1<br>5:0 | 0:2<br>3:0 | 1:0 | 0:1 | 25 | 14 | 4 | 7 | 56:26 | 32 | 2 |
| 2 | ცდკა<br>ЦДКА | 2:0 | | 2:1 | 1:1<br>2:2 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 0:1 | 1:1 | 0:0<br>4:2 | 5:3<br>4:0 | 1:1<br>4:0 | 1:1<br>4:1 | 3:1 | 2:0 | 4:0 | 2:0 | 7:0 | 4:1 | 23 | 15 | 7 | 1 | 58:17 | 37 | 1 |
| 3 | „სპარტაკი" მ.<br>„Спартак" М. | 1:1 | 1:2 | | 4:2 | 0:0 | 1:1<br>0:1 | 0:0 | 2:1 | 6:0 | 0:0<br>3:0 | 4:1 | 2:0 | 0:2<br>2:0 | 4:0<br>2:3 | 3:3 | 4:0<br>1:2 | 0:2 | 1:1 | 4:1<br>1:2 | 23 | 10 | 7 | 6 | 45:23 | 27 | 7 |
| 4 | „ტორპედო" მ.<br>„Торпедо" М. | 1:0<br>2:6 | 1:1<br>2:2 | 2:4 | | 0:4 | 1:2<br>4:1 | 0:3 | 1:2 | 2:1 | 2:1 | 2:3 | 1:0 | 0:2 | 2:0 | 0:3<br>2:0 | 1:1<br>3:1 | 0:0 | 1:1 | 1:2<br>4:3 | 24 | 9 | 5 | 10 | 35:45 | 23 | 9 |
| 5 | „ზენიტი"<br>„Зенит" | 4:3 | 0:0 | 0:0 | 4:0 | | 3:1<br>3:2 | 3:0 | 0:2 | 0:4<br>1:1 | 4:0 | 0:2 | 2:0<br>0:1 | 0:1 | 4:1<br>2:1 | 5:1 | 4:2<br>1:1 | 3:0 | 0:5 | 4:1<br>1:4 | 24 | 13 | 4 | 7 | 48:33 | 30 | 4 |
| 6 | „დინამო" თბ.<br>„Динамо" Тб. | 1:3<br>4:5 | 1:3 | 1:1<br>1:0 | 2:1<br>1:4 | 1:3<br>2:3 | | 2:0 | 4:0<br>1:5 | 3:3 | 0:1<br>3:1 | 5:1 | 3:0 | 4:1 | 3:1 | 2:1<br>1:0 | 0:0 | 1:1 | 3:1 | 3:1 | 25 | 13 | 4 | 8 | 52:40 | 30 | 5 |
| 7 | „დინამო" კ.<br>„Динамо" К. | 1:3<br>0:2 | 0:2 | 0:0 | 3:0 | 0:3 | 0:2 | | 1:3 | 2:2<br>0:5 | 1:0 | 0:1<br>2:0 | 1:0 | 4:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 1:0<br>0:0 | 4:1<br>0:6 | 1:2 | 23 | 7 | 6 | 10 | 22:33 | 20 | 15 |
| 8 | ვვს<br>ВВС | 1:2 | 1:0 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 0:4<br>5:1 | 3:1 | | 1:1 | 0:1<br>2:1 | 6:3 | 1:2 | 6:2<br>3:0 | 4:0 | 2:2 | 1:3<br>2:1 | 0:1 | 2:1 | 1:0<br>1:1 | 23 | 13 | 3 | 7 | 47:30 | 29 | 6 |
| 9 | „დინამო" ლ.<br>„Динамо" Л. | 2:0<br>2:0 | 1:1 | 0:6 | 1:2 | 4:0<br>1:1 | 3:3 | 2:2<br>5:0 | 1:1 | | 1:2 | 0:1<br>5:0 | 2:0<br>4:1 | 2:0 | 3:3 | 2:0 | 3:0 | 0:1<br>1:0 | 1:0<br>1:2 | 0:0 | 25 | 12 | 7 | 6 | 47:26 | 31 | 3 |
| 10 | „კრ. სოვეტოვი"<br>„Крылья Советов" | 0:4 | 0:0<br>2:4 | 0:0<br>0:3 | 1:2 | 0:4 | 1:0<br>1:3 | 0:1 | 1:0<br>1:2 | 2:1 | | 0:0 | 3:1 | 0:0 | 1:0<br>2:1 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 1:0<br>1:4 | 24 | 11 | 4 | 9 | 24:33 | 26 | 8 |
| 11 | „ლოკომოტივი" მ.<br>„Локомотив" М. | 1:1 | 3:5<br>0:4 | 1:4 | 3:2 | 2:0 | 1:5 | 1:0<br>0:2 | 3:6 | 1:0<br>0:5 | 0:0 | | 1:0<br>0:1 | 2:2 | 2:1 | 2:0 | 1:3 | 2:2<br>1:0 | 1:1<br>1:3 | 2:1 | 24 | 9 | 5 | 10 | 31:43 | 23 | 10 |
| 12 | „ლოკომოტივი" ხ.<br>„Локомотив" Х. | 0:2 | 1:1<br>0:4 | 0:2 | 0:1 | 0:2<br>1:0 | 0:3 | 0:1 | 2:1 | 0:2<br>1:4 | 1:3 | 0:1<br>1:0 | | 0:1 | 2:0 | 3:4 | 2:1 | 1:0<br>0:3 | 1:0<br>1:2 | 0:1 | 24 | 7 | 1 | 16 | 17:39 | 15 | 18 |
| 13 | „ტორპედო" სტ.<br>„Торпедо" Ст. | 0:5 | 1:1<br>1:4 | 2:0<br>0:2 | 2:0 | 1:0 | 1:4 | 0:4 | 2:6<br>0:3 | 0:2 | 0:0 | 2:2 | 1:0 | | 0:3<br>1:0 | 1:3<br>0:0 | 0:2 | 1:1 | 1:3 | 1:0<br>1:0 | 24 | 7 | 5 | 12 | 19:45 | 19 | 16 |
| 14 | „ნეფტიანიკი"<br>„Нефтяник" | 0:0<br>0:6 | 1:3 | 0:4<br>3:2 | 0:2 | 1:4<br>1:3 | 1:3 | 0:0 | 0:4 | 3:3 | 0:1<br>1:2 | 1:2 | 0:2 | 3:0<br>0:1 | | 0:2<br>2:3 | 2:2 | 0:5 | 1:0 | 2:0 | 24 | 4 | 4 | 16 | 22:53 | 12 | 19 |
| 15 | „დინამო" მნ.<br>„Динамо" Мн. | 0:3 | 0:2 | 3:3 | 3:0<br>0:2 | 1:5 | 1:2<br>0:1 | 1:1 | 2:2 | 0:2 | 1:2 | 0:2 | 4:3 | 3:1<br>0:0 | 2:0<br>3:2 | | 0:2<br>0:1 | 2:4 | 2:3<br>0:3 | 1:2<br>3:0 | 25 | 6 | 4 | 15 | 32:48 | 16 | 17 |
| 16 | „დინამო" ერ.<br>„Динамо" Ер. | 1:1<br>0:5 | 0:4 | 0:4<br>2:1 | 1:1<br>1:3 | 2:4<br>1:1 | 0:0 | 0:0 | 3:1<br>1:2 | 0:3 | 1:2 | 3:1 | 1:2 | 2:0 | 2:2 | 2:0<br>1:0 | | 2:1 | 4:1 | 1:3 | 24 | 8 | 6 | 10 | 31:42 | 22 | 13 |
| 17 | „დაუგავა"<br>„Даугава" | 2:0<br>0:3 | 0:2 | 2:0 | 0:0 | 0:3 | 1:1 | 0:1<br>0:0 | 1:0 | 1:0<br>0:1 | 1:2 | 2:2<br>0:1 | 0:1<br>3:0 | 1:1 | 5:0 | 4:2 | 1:2 | | 0:1<br>1:0 | 1:1 | 24 | 8 | 6 | 10 | 26:24 | 22 | 11 |
| 18 | „შახტიორი"<br>„Шахтер" | 0:1 | 0:7 | 1:1 | 1:1 | 5:0 | 1:3 | 1:4<br>6:0 | 1:2 | 0:1<br>2:1 | 0:1 | 1:1<br>3:1 | 0:1<br>2:1 | 3:1 | 0:1 | 3:2<br>3:0 | 1:4 | 1:0<br>0:1 | | 0:0 | 24 | 9 | 4 | 11 | 35:35 | 22 | 12 |
| 19 | „სპარტაკი" თბ.<br>„Спартак" Тб. | 1:0 | 1:4 | 1:4 | 2:1<br>3:4 | 1:4<br>4:1 | 1:3 | 2:1 | 0:1<br>1:1 | 0:0 | 0:1<br>4:1 | 1:2 | 1:0 | 0:1<br>0:1 | 0:2 | 2:1<br>0:3 | 3:1 | 1:1 | 0:0 | | 24 | 8 | 4 | 12 | 29:38 | 20 | 14 |

გუნდების მდგომარეობა 7 აგვისტოსათვის — Положение команд на 7 августа.

## საერთაშორისო მატჩი მძლეოსნობაში

ამ დღეებში მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის უძლიერეს მძლეოსანთა გუნდების საერთაშორისო მატჩი. საინტერესო ასპარეზობა ორ დღეს გრძელდებოდა, შეჯიბრებას მრავალი მაყურებელი დაესწრო.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მძლეოსანთა გუნდების შეჯიბრება გულთბილ ვითარებაში ჩატარდა, დამყარებული იქნა რამდენიმე ახალი რეკორდი.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით—218 : 128.

☆

## საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ქ. გორკში დამთავრდა მოსწავლე კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება საბჭოთა კავშირის 1950 წლის პირველობაზე.

საკავშირო ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის კალათბურთელ გოგონათა გუნდმა, რომელმაც სპორტულად საინტერესო ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

თბილისელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს: მოსკოვის, ლენინგრადის, სომხეთისა და თურქმენეთის გუნდები. მათ მხოლოდ ერთი ქულით წააგეს მატჩი რიგას კოლექტივთან.

გადამწყვეტი შეხვედრა მოსკოვის გუნდთან თბილისელებმა მოიგეს, ანგარიშით—42 : 26.

## „სპარტაკი“—„სპარტაკი“
### მოსკოვი — თბილისი

მოსკოვის „სპარტაკი“ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფეხბურთელთა სახელგანთქმული კოლექტივია. სპარტაკელებს საბჭოთა კავშირის პირველობისა და თასის გათამაშებაში გამარჯვების შესანიშნავი ტრადიცია აქვთ.

დედაქალაქის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი სამჯერ იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა ოთხჯერ.

1936 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში მოსკოვის „სპარტაკმა“ დაიკავა მესამე ადგილი, 1936 წლის შემოდგომაზე—პირველი ადგილი, 1937 წელს — მე-2, 1938 და 1939 წლებში — პირველი ადგილი, 1940 წელს—მე-3, 1945 წელს—მე-10, 1946 წელს—მე-6, 1947 წელს—მე-8, ხოლო 1948 და 1949 წლებში—მე-3 ადგილი.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში მოსკოვის სპარტაკელებმა გაიმარჯვეს 1938, 1939, 1946 და 1947 წლებში.

მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეში მოსკოვის „სპარტაკმა“ 18 მატჩის 36 შესაძლებელიდან მოაგროვა 23 ქულა.

მეორე წრის დღემდე ჩატარებულ 5 მატჩში სპარტაკელებმა მოიგეს 2 და წააგეს 3 შეხვედრა (თბილისის „დინამოსთან“—0 : 1, ბაქოს „ნეფტიანიკთან“—2 : 3, ერევანის „დინამოსთან“—1 : 2).

დღეისათვის მოსკოვის სპარტაკელებს 23 თამაშის 46 შესაძლებელიდან ბურთების საერთო შეფარდებით — 45 : 23 მოგროვილი აქვთ 27 ქულა.

დღევანდელი მოწინააღმდეგეები — მოსკოვისა და თბილისის „სპარტაკის“ გუნდები საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორეჯერ ხვდებიან ერთმანეთს. პირველ წრეში მათი შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით—4 : 1.

თბილისის სპარტაკელებს დღემდე ჩატარებული 24 თამაშიდან მოგროვილი აქვთ 20 ქულა.

## „დინამოს“ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა

სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს 1950 წლის პირადი პირველობის გათამაშება ტანვარჯიშში ჩატარდა ხარკოვში.

ჩემპიონატში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები — კოროლკოვი, იბადულაევი, ბელიაკოვი, თაყაიშვილი, ურბანოვიჩი, პოდუზდოვა, კობოსნიძე და სხვები.

ვაჟთა შორის სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა კოროლკოვმა, ქალთა შორის—პოდუზდოვამ.

ჩემპიონატში თაყაიშვილმა დაიკავა მეოთხე ადგილი.

☆ •

## რესპუბლიკის ჩემპიონები ფრენბურთში

ქ. სოხუმში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ფრენბურთში საქართველოს პირველობაზე.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობას ღებულობდა—თბილისის, სოხუმის, ბათუმის, გაგრისა და საქართველოს სხვა ქალაქების ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის გამარჯვება და ჩვენი რესპუბლიკის 1950 წლის ჩემპიონის წოდება ფრენბურთში მოიპოვა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა.

ვაჟთა გუნდებს შორის ძლიერად ჩაატარეს მატჩები თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფრენბურთელებმა, რომლებმაც მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის წოდება.

უე04975. შეკვ. 1797. ტირ. 3000. ფასი 50 კაპ. Цена 50 коп.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. ფურცელაძის ქ. № 5.